პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 68 (10462)

ოთხშაბათი, 21 მარტი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო მარშალი ჯუ დე (1-ლი გვერდი).
კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო მარშალი ჯუ დე (1-ლი გვერდი).
ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო მარშალი ჯუ დე (1-ლი გვერდი).
ლ. მ. კაგანოვიჩმა და მ. ზ. საბუროვმა მიიღეს მარშალი ჯუ დე (1-ლი გვერდი).
ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი მონგ ონი (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ა. გეწაძე. — აგიტაცია მექანიზატორთა შორის. დ. პაიჭაძე. — პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები — მასებში! (მე-2 გვერდი).
რ. კინწურაშვილი. — რუს და ქართველ ავტომობილმშენებელთა შრომითი თანამეგობრობა (მე-2 გვერდი).
მასწავლებლის ტრიბუნა. — გ. ნანიტაშვილი. — მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმზე (მე-2 გვერდი).
მთელი ძალები სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. — მეღორეობა ხორცის წარმოების გადიდების მთავარი რეზერვია. — ი. პოპიაშვილი. — გავადიდოთ და გავაიაფოთ [illegible] პროდუქცია. ბ. მილიუტინი. — [illegible]. ნ. ყოჩიაშვილი. — ყველაზე [illegible] (მე-3 გვერდი).
კუნძული კვიპროსი. ცნობა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

რაიონული გაზეთების საბრძოლო ამოცანები

ახალი გრანდიოზული ამოცანები დაუსახა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს სკკპ XX ყრილობამ. ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებში, ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული დახასიათება და მითითებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის კონკრეტული გზები.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტაში სერიოზული როლი ენიჭება ჩვენს პრესას, კერძოდ მის ყველაზე მასობრივ რაზმს — რაიონულ გაზეთებს. მათი ამოცანაა სისტემატურად უნარიანად განუმარტონ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის ყველა მშრომელს ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, თავისი რაიონის ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიად პროგრამას, რომელიც ყრილობამ დაგვისახა, დარაზმონ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების განუხრელად გადიდებისათვის.

ამ ამოცანათა შესასრულებლად გარკვეულ მუშაობას ეწევა გაგრის რაიონული გაზეთი „გამარჯვების დროშა“. ყრილობის გადაწყვეტილებებით რაიონში გამოწვეული დიდი შრომითი აღმავლობის ასახვასთან ერთად გაზეთი უნარიანად ეწევა ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, რაიონის მშრომელებს მოუთხრობს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებზე, იმაზე, თუ რა ცვლილებები მოხდება ახალ ხუთწლედში რაიონის სოფლის მეურნეობაში, როგორ იცვლის სახეს კურორტი გაგრა, რა ახალმშენებლობანი გადაეცემა საექსპლოატაციოდ და ა. შ.

მაგრამ ასეთი მისაბაძი მაგალითები რესპუბლიკის რაიონული გაზეთების მუშაობის პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ერთეულებია. საჭიროა რაიონული გაზეთების მუშაკებმა გულდასმით შეისწავლონ სკკპ XX ყრილობის დიდმნიშვნელოვანი მასალები და გადაწყვეტილებები, უფრო ღრმად გაერკვნენ თავიანთი რაიონის ეკონომიკაში, რაიონის წინაშე მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებში, რაც დიდად დაეხმარება მათ ბევრი მკაფიო საგაზეთო თემის გამონახვაში.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც სკკპ XX ყრილობამ დასახა, მოითხოვენ მთელი იმ დიდი რეზერვების სრულად გამოყენებას, რომლებიც სოფლის მეურნეობაში მოიპოვება. რაიონული პრესის ვალია აქტიურად დაეხმაროს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სოფლის ყველა მშრომელს ამ რეზერვების გამოვლენებაში. ამასთან ერთად რაიონული გაზეთების შეუნელებელი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულობის შემცირებისათვის, ტექნიკის სწორად გამოყენებისათვის, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში საშტატო ზედმეტობათა ლიკვიდაციისათვის, შრომადღეების მომჭირნეობით ხარჯვისათვის შეუპოვარი ბრძოლის აქტუალური საკითხები.

რაიონული პრესის ერთ-ერთი კეთილშობილური თემაა სოფლის მეურნეობის კადრების ეკონომიური სწავლება. გაზეთები სისტემატურად უნდა უჩვენებდნენ, თუ როგორ ეუფლებიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრები ეკონომიურ ცოდნას, როგორ სწავლობენ შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯებით სასოფლო-სამეურნეო საგარგულების ყოველ ას ჰექტარზე რაც შეიძლება მეტი პროდუქციის წარმოებას.

ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი რაიონულ პრესას სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლების საკითხების უნარიანად, საქმის ცოდნით გაშუქებისათვის.

უფრო მეტი ინიციატივა და მონდომება უნდა გამოიჩინოს რაიონულმა პრესამ საკოლმეურნეო წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვისათვის, რასაც ესოდენ დიდი ყურადღება დაუთმო პარტიის XX ყრილობამ.

კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობის მშრომელები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. მომავალში რომ აღარ იქნას დაშვებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რაც გაკიცხულ იქნა ყრილობაზე, რაიონულმა გაზეთებმა აქედანვე უნდა ადევნონ თვალყური შეჯიბრების მიმდინარეობას, აღკვეთონ კამპანიურობა და არაუსაჭირო ხმაური, დროზე მიუთითონ იმათ, ვინც ვალდებულებებს კისრულობს ფორმალურად, რეალურ შესაძლებლობათა, რეზერვების გამოყენების გაუთვალისწინებლად. გაზეთები უნდა უძლიერებდნენ შეჯიბრებულთ თავიანთი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას, კონკრეტული ფაქტებით უჩვენებდნენ შეჯიბრებაში დაწინაურებულთა მუშაობის გამოცდილებას, კიცხავდნენ მათ, ვინც უპასუხისმგებლოდ ეკიდება ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას.

იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის დასახა სკკპ XX ყრილობამ, დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საგაზეთო თესვა. რესპუბლიკაში მალე მასობრივად გაჩაღდება საგაზეთო თესვა. გაზეთების მოვალეობაა ოპერატიულად გააშუქონ როგორც თესვისათვის მზადება, ისე თვით თესვის სამუშაოთა მიმდინარეობა, დროზე ამხილონ ნაკლოვანებანი, დარაზმონ კოლმეურნეები და მექანიზატორები თესვის სამუშაოთა ვადების შემცირებისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის.

ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად მთელი თავიანთი აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის მოწყობით, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანებთან თავიანთი კავშირის ყოველდღიურად განმტკიცებითა და გაძლიერებით რაიონულმა გაზეთებმა ფართოდ უნდა გააშუქონ საბჭოთა ადამიანების თავდადებული ბრძოლა იმ დიადი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც დასახულია მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო მარშალი ჯუ დე

1956 წლის 20 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე.

მარშალ ჯუ დეს ახლდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი.

ნ. ა. ბულგანინსა და მარშალ ჯუ დეს შორის გულთბილი და მეგობრული საუბარი გაიმართა. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო მარშალი ჯუ დე

20 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე. მარშალ ჯუ დეს ახლდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი.

კ. ე. ვოროშილოვსა და მარშალ ჯუ დეს შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო მარშალი ჯუ დე

19 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე.

მიღებას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო.

ვ. მ. მოლოტოვსა და მარშალ ჯუ დეს შორის გაიმართა საუბარი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. საუბარს გულითადი, მეგობრული ხასიათი ჰქონდა. (საკდესი).

ლ. მ. კაგანოვიჩმა და მ. ზ. საბუროვმა მიიღეს მარშალი ჯუ დე

20 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. მ. კაგანოვიჩმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ზ. საბუროვმა მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მარშალი ჯუ დე.

მიღებას დაესწრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო.

ლ. მ. კაგანოვიჩსა, მ. ზ. საბუროვსა და მარშალ ჯუ დეს შორის გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი მონგ ონი

1956 წლის 20 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი, რომელმაც ნ. ა. ბულგანინს გადასცა ბირმის პრემიერ-მინისტრის უ ნუს წერილი. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მხატვარ ვ. ნ. ბაკშეევისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მხატვარ ვასილ ნიკოლოზის-ძე **ბაკშეევს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 19 მარტი.

საუკეთესოდ ჩავაგარეთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები

ახალ სამგორში

„ახალი სამგორი“! — ასე უწოდეს მცხეთის, ქარელისა და კასპის რაიონებიდან ჩამოსახლებულმა კოლმეურნეებმა თავიანთ სოფელს, რომელიც სამგორის მტს-ის ახლოს ოკაცრიელ ველზე ახლახან გაშენდა. მართლაც, აქ ყველაფერი ახალია: კოლმეურნეთა სახლები, საკარმიდამო ნაკვეთებში გაკვალული ბილიკები, საგაზაფხულო კულტურების დასათესად გატეხილი ყამირი...

— ჩვენი კოლმეურნეობა, რომელიც შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, რესპუბლიკაში ყველაზე ახალგაზრდაა, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი რუხაძე. — გამგეობა სულ რაღაც თვენახევრის წინათ ავირჩიეთ. პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ძალასა და ენერგიას არ ვზოგავთ იმისათვის, რომ მტს-ის ზონის კოლმეურნეობებს არაფერში ჩამოვრჩეთ.

ახალგაზრდა კოლმეურნეობის საქმიანობის გაცნობა საესებით ადასტურებს თავმჯდომარის ნათქვამს. „ახალი სამგორის“ მკვიდრთ გადაწყვეტილი აქვთ შარშანდელთან შედარებით წელს ხუთჯერ მეტი ყამირი აითვისონ, გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარის ნაცვლად საგაზაფხულოდ მოხნან 450 ჰექტარი, სიმინდის მთელი ფართობის დიდი ნაწილი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესონ, გააშენონ 10 ჰექტარი ვენახი და ამდენივე ხეხილი, 25 ჰექტარზე დათესონ ბოსტნეული და სხვა საგაზაფხულო კულტურები.

საგაზაფხულო თესვისათვის კარგად მოემზადა სოფელ გამარჯვების XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. იმნაძე). კოლმეურნეობის მომსახურე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც მ. ჭინჭარაული ხელმძღვანელობს, გარდაბნის რაიონში ერთ-ერთი პირველი შეუდგა საგაზაფხულო ხვნას. ბრიგადის ვალდებულებაა ყველა საგაზაფხულო სამუშაო ვადაზე 10 დღით ადრე დაამთავროს. მოწინავე ტრაქტორისტმა დ. ჯაჟვაძემ იკისრა რბილ ხვნაზე გადაყვანით წელს „დტ-54“ მარკის ტრაქტორით მოხნას 1.500 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 720 ჰექტარისა. ბრიგადის ორი ტრაქტორი მზესუმზირას თესვაზე მუშაობს. მარტის პირველსავე დეკადაში ეს კულტურა 80 ჰექტარზე დათესეს. ამავე კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ბოსტნეულისა და კარტოფილის თესვა.

ხვნა-თესვის პირველ დღეებში ნაკლოვანებებმაც იჩინა თავი. სამგორის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში თესვის საერთო ტემპი დაბალია. არის სათესლების მოცდენისა და უხარისხოდ თესვის შემთხვევები. მაგალითად, 13 მარტს ტრაქტორისტ შ. ჭინჭარაულს სათესი მთელ დღეს მოუცდა იმის გამო, რომ დამხმარედ გამოყოფილი არცერთი კოლმეურნე სამუშაოდ არ გამოცხადდა. ამავე დღეს ტრაქტორისტი გ. გოგოჭური მზესუმზირას მრუდე მწკრივებითა და ხარვეზებით თესავდა.

ხვნა-თესვის პირველ დღეებში გამოვლინებული ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას და ყველა პირობა შეიქმნას ახალ მიწაზე ბარაქიანი მოსავლის მისაღებად.

გ. გელაშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის

საჩხერე. (საკ. კორ.). წელს რაიონის კოლმეურნეობები 6.957 ჰექტარ სიმინდს დათესავენ და 300 ჰექტარ ყამირ მიწას აითვისებენ. სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად მტს-მა მზრალად მოხნა 900 ჰექტარი, ტრაქტორებით საგაზაფხულოდ მოიხვნება სულ მცირე 1.000 ჰექტარი. ეს სამუშაო უკვე დაწყებულია — ტრაქტორები გავიდნენ ჭალის, სავანის, მერჯევის, სხვიტორის კოლმეურნეობების ფართობებში და პირველ დღეებშივე 100 ჰექტარზე მეტი ფართობი მოხნეს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მინდვრებში სასუქების შეტანას. წელს მარტო სიმინდისათვის ფართობებში შეტანილი იქნება 350 ტონა მინერალური და 800 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი.

კოლმეურნეობებში კვადრატულ-ბუდობრივად და მწკრივად დაითესება 3.000 ჰექტარი სიმინდი. მტს-ს წესრიგზე აქვს სათესი მანქანები. მანქანებზე სამუშაოდ სოფლების ჩიხის, სხვიტორის, სავანის, მერჯევის და სხვა კოლმეურნეობები ამზადებენ 60 კაცს.

ამჟამად წესრიგზე მოჰყავთ ხოდაბუნის სარწყავი სისტემა, რომელიც სულ მცირე ხუთას ჰექტარ მიწას მორწყავს.

სიმინდის თესვა მალე მასობრივად გაჩაღდება.

ემზადებიან თესვისათვის

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში წელს სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დაითესება 1.500 ჰექტარზე, რაც მნიშვნელოვნად მეტია შარშანდელზე. ამჟამად გაჩაღებულია მზადება თესვისათვის. მთავრდება სათესი ფართობების ხვნა, ჰიბრიდული და მაღალხარისხოვანი სათესლე მასალის სრულ კონდიციამდე აყვანა.

სოფელ გუფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე დაამთავრეს მთელი სათესლე მასალის კონდიციამდე აყვანა. მოხნეს 100 ჰექტარზე მეტი ფართობი, აითვისეს 5 ჰექტარი ყამირი და მინდვრად გაიტანეს 100 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი.

„მოძრავი“ პავილიონის ტიპური პროექტი

წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ ქალაქში ან რაიონულ ცენტრში. თქვენი დაწესებულებიდან ან საწარმოდან მაღაზიები შორს არის, არც რესტორანია ახლოს, არც პატარა სასაუზმე, და ყოველ შესვენებაზე სასადილოდ ან სასაუზმოდ შორს გიხდებათ წასვლა. წარმოიდგინეთ და მაშინვე მიხვდებით, თუ რამდენად სასარგებლო და სასურველია ისეთი ფარდულების შექმნა, რომელთა აგება სწრაფად შეიძლება.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ გაითვალისწინა მშრომელთა ეს საჭიროება და არქიტექტორებს დაუსახა ამოცანა შეექმნათ სავაჭრო ფარდულისა და პავილიონის ტიპური პროექტები.

ეს დავალება ღირსეულად შეასრულეს საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის კავკასიის ფილიალის არქიტექტორებმა ზურაბ თავართქილაძემ და სერგი მეგრელიშვილმა. მათ შეადგინეს ასაწყობ-დასაშლელი, გადასატან-გადმოსატანი პავილიონის ტიპური პროექტი, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ამ დღეებში სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ ეს ტიპური პროექტი დაამტკიცა.

სასაუზმე გათვალისწინებულია 250 კაცისათვის და 28 კონსტრუქციული ელემენტისაგან შედგება. მისი ძირითადი მასალაა 88 მილიმეტრიანი ღრუ მილები. კედლებად გამოყენებულია ხის სტანდარტული ფარები, რომლებსაც დატანებული აქვთ კარ-ფანჯრები. შენობა ცემენტის იატაკზე იდგმება, გადახურულია ბრეზენტის ტენტით. მშენებლობის მთავარი დეტალებია: სვეტი, შემკვრელი ღერო, ფერმა და მოაჯირი.

კონსტრუქცია ზედმიწევნით მარტივია. მის ასაწყობად არ არის საჭირო ელექტროშედუღება და დამჭერი დეტალები (ჭანჭიკი, ხრახნი და სხვ.).

მთელი ამ მოზრდილი ნაგებობის აწყობა შეუძლია 3-4 ხელოსანს რამდენიმე დღეში. აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტრუქცია დასაშლელია და მისი გადატან-გადმოტანა იოლია. გარდა ამისა, იგი გარეგნულადაც ლამაზია.

ყველაზე საყურადღებო მაინც ის არის, რომ პროექტი მეტად ეკონომიურია. აქამდე არსებულ ასეთივე დანიშნულების ნაგებობებთან შედარებით იგი 3-ჯერ იაფი დაჯდება.

ახალი ასაწყობ-დასაშლელი კონსტრუქციის შექმნაში ინიციატივის გამოჩენისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირებისათვის სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ვ. კოკორევმა ბრძანებით მადლობა გამოუცხადა პროექტის ავტორებს ზურაბ თავართქილაძეს და სერგი მეგრელიშვილს. ახალი რაციონალური კონსტრუქციის დამზადებისათვის ისინი პრემირებული არიან. სამუშაო ნახაზების დამუშავებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ახალგაზრდა არქიტექტორები გივი ბერიძე და ოთარ მაჩაბელი.

მალე მოსკოვის ტიპური პროექტების ინსტიტუტი გაავრცელებს სამუშაო ნახაზებს და შეუდგებიან საჭირო დეტალების დამზადებას საქარხნო წესით. რამდენიმე თვის შემდეგ კი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქებში დაიწყება ასაწყობ-დასაშლელი კონსტრუქციის საზაფხულო ტიპის ბევრი სასაუზმის, ნაყინის სავაჭროს და საზოგადოებრივი კვების სხვა ნაგებობათა მშენებლობა.

გ. ნიშნიანიძე.

მოსკოვი.



„მოძრავი“ პავილიონის მოდელი. ფოტო კუპრინისა.

საარეს-ის ავტონომიური ოლქის ეროვნული თეატრი

ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი

ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები. ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები. ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები.

ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები. ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები. ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები.

ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები. ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები. ეროვნული ენა, ეროვნული ფორმა, სოციალისტური შინაარსი — ასეთია ეროვნული ხელოვნების ძირითადი ნიშნები.

სარესპუბლიკათაშორისო თათბირი სეისმურ რაიონებში დაპროექტებისა და მშენებლობის საკითხებზე

გუშინ თბილისში საქართველოს მთავრობის სახლის სხდომათა დარბაზში გაიხსნა სარესპუბლიკათაშორისო თათბირი, რომელიც მოწვია სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ. თათბირში ონლაინ მონაწილეობენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქმენეთის სს რესპუბლიკების საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებისა და მათი საუწყებო საპროექტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე სსრ კავშირის არქიტექტურისა და მშენებლობის აკადემიის, სსრ-ეს ნაგებობათა ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირი მიძღვნილია ჩვენი ქვეყნის სეისმურ რაიონებში ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და მსხვილი საკედლე ბლოკების გამოყენებათ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებასა და მშენებლობაში გამოცდილების ურთიერთგაზიარებისადმი.

სარესპუბლიკათაშორისო თათბირი გახსნა სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა და ტექნიკური სამმართველოს უფროსმა პროფ. ვ. ზამარაევმა.

პირველ სხდომაზე თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს სამრეწველო ნაგებობათა ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ი. გოლდენბლატის მოხსენება თემაზე „სეისმურ რაიონებში ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტებისა და განგარიშების საკითხები“.

მეორე სხდომაზე, რომელიც დღის მეორე ნახევარში შედგა, ინფორმაციებით გამოვიდნენ: შ. ჯაბუა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ქარცივაძე, ვ. ჩხეიძე — საქსოფელპროექტის მთავარი ინჟენერი, კ. ჭყონია — საქქალაქპროექტის საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი.

სარესპუბლიკათაშორისო თათბირი მუშაობას განაგრძობს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ — ᲛᲐᲡᲔᲑᲨᲘ!

აჭარის ასსრ მშრომელები გულდასმით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და მასალებს. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაარჩიეს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისათვის.

ამას წინათ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა მოიწვია საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქტორების თათბირი, რომელმაც განიხილა სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლისა და მშრომელებისათვის ახსნა-განმარტების საკითხი.

მოხსენებელმა — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. კ. დოლიძემ და სიტყვებით გამოსულებმა აღნიშნეს, რომ სკკ პარტიის XX ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს და პარტიულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა უმოკლეს ვადაში დაძლიონ პროპაგანდის მოწყვეტა ცხოვრებისაგან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული საკითხებისაგან.

აჭარის ასს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები შეუდგნენ ყრილობის მასალების შესწავლას პარტიული განათლების სისტემაში. თათბირმა პარტიული კომიტეტებისაგან, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისაგან მოითხოვა ყრილობის მასალების შესწავლა მჭიდროდ დაუკავშირონ მოცემული საწარმოს, კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის წინაშე მდგომ კონკრეტულ საკითხებს და ამით ხელი შეუწყონ მასების დარაზმვას ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

თათბირმა ყურადღება გაამახვილა აგიტკოლექტივებისა და აგიტატორების წინაშე მდგომ ამოცანებზე მასებში ყრილობის მასალების ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით.

თათბირზე სიტყვებთან გამოვიდნენ და ყრილობის მასალების შესწავლის პირველი დღეების შედეგებზე ილაპარაკეს პარტიის შუახევის, ქობულეთის, ხულოს, ბათუმის და ქედის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა შ. დავითაძემ, ი. ბურჭულაძემ, ა. შავაძემ, ნ. გორგოშაძემ და მ. ზაჯარაძემ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ა. ბაუეაძემ.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის თვალსაჩინო აგიტაციის გაშლისა და მისი გაუმჯობესების საკითხზე საინსტრუქტაჟო მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ დ. დიასამიძემ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. დავითაძე. მან ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის.

დ. ᲙᲐᲘᲪᲮᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკ. კორესპონდენტი.

ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). პარტიული განათლების მთელი სისტემის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლაზე გადასვლასთან დაკავშირებით პარტიის ამბროლაურის რაიკომში გაიმართა პროპაგანდისტთა სემინარი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ლექტორებმა და კონსულტანტებმა.

სემინარის მონაწილეებს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. კახიძე ესაუბრა ამის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ პოლიტსკოლებში, წრეებსა და სემინარებში XX ყრილობის მასალების შესწავლა, მათი ყველა მშრომელისათვის განმარტება.

ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ტრაქტორების რემონტთან დაკავშირებით მტს-ის პარტბიურომ გადასინჯა აგიტატორთა შემადგენლობა და აგიტკოლექტივი გააძლიერა ახალი ამხანაგებით. მე დამევალა საუბრების მოწყობა სახელოსნოში რემონტზე მომუშავე მექანიზატორებთან.

პირველი საუბარი მოვაწყე თემაზე: „1955 სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები და მექანიზატორთა ახალი ამოცანები“. საუბარში ვრცლად შევეხე მტს-ის მოწინავე სატრაქტორო ბრიგადების მუშაობის გამოცდილებას, რომელიც ყველა ბრიგადაში უნდა გავრცელდეს. ამასთან განვმარტე ზოგიერთი საკითხი, მოვიყვანე ამის ფაქტები, რომ მტს-ის ზოგიერთ ბრიგადას შარშან არ შეუსრულებია სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა, დაბალია ტრაქტორების დატვირთვა. მაგალითად, მეხუთე ბრიგადამ სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმის შესრულებას დააკლო (რბილ ხვნაზე გადაყვანით) 1.052 ჰექტარი. ამავე ბრიგადის „ნატის“ მარკის ტრაქტორის ტრაქტორისტმა ვ. სოხაძემ მთელი წლის განმავლობაში რბილ ხვნაზე გადაყვანით მხოლოდ 343 ჰექტარი ფართობი დამუშავა, ხოლო ტრაქტორის ტექნიკურ მოვლაზე გადახარჯა 821 მანეთი.

საკითხი პირდაპირ ასე დავაყენე: გამოცდილი ტრაქტორისტები ხართ, ტრაქტორებს თქვენვე არემონტებთ, რა არის მიზეზი, რომ მინდვრის სამუშაოთა პერიოდში ცალკეული ტრაქტორები ტექნიკური უწესივრობით ხშირად არიან მოცდენილი? მიზეზი ის არის, რომ რემონტიდან ზოგიერთი ტრაქტორი უხარისხოდ შეკეთებული გამოდის, რის გამო მინდორში მუშაობის დაწყებისას ისევ მალე ფუჭდება.

ჩვენს მტს-ში იყო ზოგიერთი ტრაქტორის დაბალხარისხოვნად შეკეთების ფაქტები. ტრაქტორისტმა შ. სოხაძემ „სტზ“ მარკის ტრაქტორი შეკეთებულად ჩათვალა, როცა საკისრები კარგად არ ჰქონდა მორგებული. ტრაქტორისტმა ე. დიდებაშვილმა ტრაქტორის უკანა ხიდში დაზიანებული წამყვანი პატარა კბილანა დააყენა. ამ კონკრეტული მაგალითებისა და ფაქტების გამოყენებით მოვაწყე საუბარი თემაზე: „უზრუნველვყოთ ტრაქტორების, მისაბმელი მანქანებისა და კომბაინების მაღალხარისხოვნად შეკეთება“. სააგიტაციო საუბრებმა ხელი შეუწყეს ტრაქტორების რემონტის დაჩქარებას, სარემონტო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას. ჩვენმა მტს-მა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა ვადამდე შეასრულა ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა.

მცხეთელი მექანიზატორები ფართოდ გამოეხმაურნენ სიონაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის კოლექტივის წერილს და ვორონეჟელ მექანიზატორთა მიმართვას — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად. ამ საკითხზე სპეციალური საუბრები მოვაწყე. შეჯიბრებაში დაწინაურდა მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ა. მამულაშვილი), რომელმაც ვადამდე დაამთავრა ტრაქტორების რემონტი. ასევე ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის მონდომებით იმუშავეს მექანიზატორებმა გ. მელაძემ, ს. მუმლაურმა, მ. ვალიშვილმა, ვ. გომურიშვილმა, შ. გოლოშვილმა და სხვებმა. ისინი რემონტის ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებდნენ.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საუბარში გავაკრიტიკე ტრაქტორისტები ს. გოლოშვილი, გ. ვალიშვილი და სხვები. მაგრამ საუბარს შედეგი არ მოჰყვა. მაშინ მათ შესახებ წერილი მოვათავსე მტს-ის კედლის გაზეთში, რამაც ხელი შეუწყო შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამჟამად აღნიშნული ტრაქტორისტები მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან.

მტს-ის კოლექტივმა დიდი ყურადღებით, საქმიან ვითარებაში განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები და იკისრა ახალი, გადიდებული ვალდებულებები. მცხეთელ მექანიზატორთა ვალდებულებებში ჩაწერილია, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდებიან საგაზაფხულო თესვას, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის სატრაქტორო სამუშაოთა დავალებას შეასრულებენ 115 პროცენტით, დაზოგავენ საწვავის 10 პროცენტს და თვითეული ჰექტარის დამუშავების ღირებულებას შეამცირებენ 50 კაპიკით. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერის ნაცვლად მიიღებენ 12 ცენტნერ მარცვლეულს, ხოლო ერთ საფურაე ძროხაზე — 700 კილოგრამ რძეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 კილოგრამისა. ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის მტს-ის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია დუშელი მექანიზატორები.

ამჟამად, ისევე როგორც მტს-ის სხვა აგიტატორები, საუბრებს ვაწყობ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე. ყველაზე მთავარი და დიდმნიშვნელოვანია ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელება. მე ამისათვის ვზრუნავ, რომ ყრილობის მასალების ახსნა-განმარტებამ ხელი შეუწყოს მექანიზატორთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღებას და საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებას, მტს-ის კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

მექანიკოსი Ა. ᲒᲔᲬᲐᲫᲔ,
მცხეთის მტს-ის აგიტატორი.

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). სააგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებისა და აგიტატორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პარტიის რაიკომმა ონისა და სორის ზონებში შექმნა აგიტატორთა სამთვიანი სკოლები. აგიტატორებმა უკვე მოისმინეს ლექციები თემებზე: „სკკპ XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“, „მსოფლიოს პოლიტიკური რუკა“, „სახალხო დემოკრატიის ქვეყნები“ და სხვ.

აგიტატორთა სამთვიან სკოლებში შეუდგნენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლას. აგიტატორები ფ. გუგეშაშვილი, შ. გობეჯიშვილი, მ. კერესელიძე, ზ. ბერელიძე და სხვები თავიანთ საუბრებში კარგად იყენებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას და მაღალ იდეურ დონეზე აწყობენ სააგიტაციო საუბრებს, რაზმავენ მშრომელებს XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ „ᲘᲖᲝᲚᲐᲢᲝᲠᲨᲘ“



აგებულია და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საცდელი სადგური, სადაც ხდება ელექტროგადაცემათა ხაზებისა და ტრანსფორმატორებისათვის მალალვოლტიანი იზოლატორების გამოცდა.

სადგური აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. აქ დადგმულია 2 მილიონი ვოლტი ძაბვის საიმპულსო გენერატორი, 1 მილიონი ვოლტი ძაბვის სამრეწველო სიხშირის ტრანსფორმატორების კასკადი. სურათზე: 2 მილიონი ვოლტი ძაბვის საიმპულსო გენერატორი, რომელიც დადგმულია ახალ საცდელ სადგურში.

ფოტო ვ. კუნოვისა.
(საკავშირო ფოტოქრონიკა).

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲨᲘ

ᲐᲪᲔᲢᲘᲚᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ახალი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება აცეტილენის წარმოებისა და გადამუშავების გაფართოების შესახებ. აცეტილენი მთელი რიგი ძვირფასი პროდუქტების ნედლეულია. ამ ნედლეულისაგან ამზადებენ აცეტატურ აბრეშუმს, უწვავ კინოფირს, სინთეზურ კაუჩუკს, პლასტმასის მისაღებ ნახევარფაბრიკატებს, ზხამქიმიკატებს, „ორლონის“ ტიპის სინთეზურ ბოჭკოს და ა. შ.

ამ ქიმიური პროდუქტების მიღება სხვა მეთოდებით და სხვა ნედლეულის გადამუშავებით ეკონომიკის თვალსაზრისით ნაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე აცეტილენიდან. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ყარაგანდის ქარხანაში უკვე ამუშავებულია კალციუმის კარბიდის მისაღები გაუმჯობესებული ღუმელები. კალციუმის კარბიდი აცეტილენის ძირითადი ნედლეულია.

ახალი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო ღონისძიებები აცეტილენის წარმოების გაფართოებისა და მისგან სინთეზური პროდუქტების გამოშვების გაფართოების შესახებ.

(„ᲞᲠᲝᲛᲘᲨᲚᲔᲜᲜᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲩᲔᲡᲙᲐᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲐ“).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲣᲒᲣᲚᲔᲑᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ

ტყიბულშახტმშენის სამშენებლო სამმართველოს სამთო უბნის კოლექტივს დავალებული აქვს სათანადო სამუშაოთა შესრულება ტყიბულის შახტების სიმძლავრეთა გასადიდებლად, ახალი სამთო ჰორიზონტების მოსამზადებლად და ექსპლოატაციაში გადასაცემად. ამჟამად სამთო უბანი ახალ ჰორიზონტებს ამზადებს ლენინის სახელობისა და მოლოტოვის სახელობის შახტებში. ლენინის სახელობის შახტში ეს სამუშაოები მეტად შემჭიდროებულ ვადებში უნდა დამთავრდეს, უამისოდ შახტის კოლექტივი ვერ შეძლებს ქვანახშირის ამოღების ისეთი რაოდენობით გადიდებას, რაც გათვალისწინებულია ახალი ხუთწლიანი გეგმით.

ტყიბულშახტმშენის სამმართველოს სამთო უბნის კოლექტივს, რომელსაც ამ სამუშაოთა შესრულება აქვს მინდობილი, წელს არც იანვარში, არც თებერვალში დავალება არ შეუსრულებია. ჩაშლილია აქ სამთო გამონამუშევრების გაყვანის გეგმა. მაგალითად, იანვარში გაყვანის სამუშაოთა დავალება შახტმშენებლებმა 49,1 პროცენტით შეასრულეს, ხოლო თებერვალში — 60 პროცენტით. ჩამორჩენა მარტშიც გრძელდება.

ასეთი ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია მუშახელის ნაკლებობა. ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტს სამთო უბნის კოლექტივის დასახმარებლად უნდა გაეგზავნა გამყვანთა ორი ბრიგადა. ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ დღემდე ბრიგადები არ ჩანან.

მთავარი, რაც ჩამორჩენას იწვევს, არის შახტმშენებლებისადმი ტექნიკური ხელმძღვანელობის სისუსტე და მოწესრიგებული სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია.

— მთხრელთა ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, — თქვა სოციალისტური შრომის გმირმა, გამოჩენილმა შახტმშენებელმა პ. ჭელიშვილმა, — უკეთ შეუძლია მუშაობა. ჩვენს განკარგულებაშია ელექტროვენტილატორები და ფუჭი ქანის თვითმტვირთავი. [illegible] ხელსაყრელ [illegible] ეხედავდა ამისა, ხშირად ვერ ვასრულებთ წინსვლის დავალებას იმიტომ, რომ ხან ცარიელ ვაგონებს ვერ ვაწოდებენ, ხან კუმშჰაერს და სხვა მასალებს.

ფუჭი ქანის თვითმტვირთავი სამი მანქანა, რომელიც შახტმშენებლებს აქვთ, სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. უურადღება არ ექცევა სახგრეგებში საშახტო ვაგონების გაგორების მექანიზაციას. მეასე ჰორიზონტის სავენტილაციო ჭაურიდან იმ მოქმედ სანგრევამდე, საიდანაც თებერვლის ბოლო რიცხვებში განიაღების მთავარი დახრილი სამთო გამონამუშევრის გათხრა დაიწყეს, 180 გრძივი მეტრია. ამ მანძილზე აქ როგორც ცარიელ, ისე ფუჭი ქანით დატვირთულ საშახტო ვაგონებს ხელით აგორებენ, თუმცა ვაგონების გაგორების მექანიზაციის განხორციელება ტექნიკური სიძნელეს არ წარმოადგენს.

შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმისადმი უყურადღებობის გამო აღშფოთებას გამოთქვამს გათხრის ოსტატი შ. რატიანი.

— ფუჭი ქანის დატვირთვა ხელით გვიხდება, მძიმე საშახტო ვაგონებსაც ხელით ვაგორებთ, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებაში არ გვეხმარებიან, — ამბობს იგი.

ეს საყვედურები სწორია. მიწისქვეშა სამუშაოთა არარაციონალურად მოწყობა, ახალი ტექნიკის გამოყენების უგულებელყოფა, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მნიშვნელობის შეუფასებლობა იწვევს შახტმშენებელთა ჩამორჩენას. საჭიროა ყოველივე ამას ბოლო მოეღოს, ტყიბულელი შახტმშენებლებისადმი ხელმძღვანელობა გადაჭრით გაუშჯობესდეს.

З. ᲪᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკ. კორესპონდენტი.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲪᲝᲚᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲛᲖᲔ

მიმდინარე სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღებულ იქნა პრაქტიკული მეცადინეობის მოწყობა სოფლის მეურნეობაში, მანქანათმცოდნეობასა და ელექტროტექნიკაში. ეს კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სკოლების პოლიტექნიზაციის გზაზე.

ახალ სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მანქანათმცოდნეობის საკითხების შესწავლას. მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმს ხელმძღვანელობ თბილისის მე-3 სკოლაში, სწორედ იქ, სადაც აღვიზარდე და თავის დროზე მივიღე საშუალო განათლება.

სკოლისათვის უწინარეს ყოვლისა გადაუდებელ ამოცანად იქცა სახელოსნოს მოწყობა, რაც აუცილებელია მანქანათმცოდნეობაში პრაქტიკუმის ჩასატარებლად. ამ საქმეში დიდი მონდომება გამოიჩინა სკოლის მთელმა პედაგოგიურმა კოლექტივმა.

ფართო ნათელ ოთახში ერთმანეთის თანმიმდევრობით მაგიდაზე დამაგრებული გვაქვს სამაგიდო გირაგები. თვითეულ მაგიდას აქვს იარაღის შესანახავი ყუთი, სადაც მოსწავლეები პრაქტიკული მეცადინეობის დამთავრების შემდეგ საზეინკლო იარაღს თავის ადგილზე აწყობენ.

ოთახის ერთ კუთხეში მოთავსებულია სადურგლო და საზეინკლო დაზგები, რომლებზეც მოსწავლეები ამზადებენ სხვადასხვა ნაკეთობას. მეორე კუთხეში მაგიდებზე განლაგებულია თანამედროვე ავტომანქანის „გაზ-51“ ნაწილები. კედლებზე გაკრულია სქემები და დაფები მანქანათა ცალკეული დეტალებით. ეს მოსწავლეებს უადვილებს მანქანის დეტალების შესწავლას.

სკოლის ფართო ვესტიბიულში დადგმულია „ГАЗ-АА“ მარკის ავტომანქანა. მოსწავლეები დიდი ინტერესით აკვირდებიან მანქანის ამა თუ იმ კვანძს და ნაწილს.

სახელოსნოში მოეწყო კინოდანადგარი, რომელიც სკოლის დირექციამ შეიძინა. მოსწავლე ახალგაზრდობაში დადებით გავლენას ახდენს ტექნიკური კინოჟურნალების ჩვენება, რომლებიც მას ნათელ წარმოდგენას აძლევს ისეთი პროცესების შესწავლაში, როგორიც არის, მაგალითად, ავტომობილის ძრავის გაგრილების სისტემა და სხვ.

სახელოსნოს მოწყობაში დახმარება გაგვიწია ჩვენი სკოლის შეფმა — თბილისის მარმარილოს ქარხანამ სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღის გადმოცემით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს შეფს ჯერ არ უნახავს, თუ როგორ არის მოწყობილი ჩვენი სახელოსნო. შეფის საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სახელოსნოს კიდევ ბევრი რამ აკლია: VIII-IX კლასებში თითქმის ყველა მასალა სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოიცანა საყვედური, მასვე დაეფალა მკვეთრად გაუმჯობესოს სავაჭრო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, გადამჭრელი ზომები მიიღოს ვაჭრობის წესების დარღვევის ლიკვიდაციისათვის, სავაჭრო ქსელში სამუშაოდ არ დაუშვას ვაჭრობის წესების დარღვევისათვის მოხსნილი მუშაკები.

ᲠᲣᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

რუს და ქართველ ავტომობილმშენებელთა შრომითი მეგობრობა დიდი მხატვრული ნაწარმოების თემაა. ქართველებს რუსი ოსტატების დაუხმარებლად მეტად გაუძნელდებოდათ საავტომობილო წარმოების მოკლე დროში და სრულყოფილად ათვისება, ახალი ნიმუშების ავტომანქანათა შექმნა.

ახლა ასობით მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა ქართველი ავტომობილმშენებელი მუშაობს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რუხი თუჯის სამსხმელო, შასის, ძრავის, საწნეხ-საძარე, სამჭედლო, საიარაღო, თერმულ, სიჩქარეთა კოლოფის, სამოდელო, მთავარი კონვეიერის და ზევრ სხვა საამქროში, აგრეთვე ქარხნის მთავარი ტექნოლოგის და მთავარი კონსტრუქტორის განყოფილებებში. ისინი შესანიშნავად იყენებენ ახალ ტექნიკას, გვიჩვენებენ სიზუსტის მაღალი კლასით მუშაობის ნიმუშებს, აუმჯობესებენ ტექნოლოგიას და აღწევენ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს.

რამდენიმე წლის წინათ ქარხანაში არ ჰყავდათ არც ერთი კვალიფიციური ქართველი თერმისტი. ამიტომ თერმული წარმოების სრულყოფისა და ამ დარგში მოწინავე გამოცდილების დანერგვის მიზნით გორკის საავტომობილო ქარხნიდან მოიწვიეს ავტომანქანის დეტალების თერმულად დამუშავების სპეციალისტი ა. სერგუნინი, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა ქართველი ავტომობილმშენებლები. მათ შორის პირველი დაწინაურდა შ. ჭოხონელიძე, რომელიც ამჟამად თერმული საამქროს უფროსია.

თერმული საამქროს თანამედროვე, მძლავრი დანადგარების დამონტაჟებაზე მუშაობდა ინჟინერი თ. გენძეხაძე. მისი შრომითი გზა რუსი და ქართველი სპეციალისტების თანამეგობრობის საუკეთესო მაჩვენებელია. თ. გენძეხაძე ერთ ხანს იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოში — სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანაში. აქ მოძმე რუსი სპეციალისტების დახმარებით იგი სრულყოფილად დაეუფლა ელექტროდანადგარების დამონტაჟებას, ამ საქმის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე გახდა. ამის შედეგია, რომ თ. გენძეხაძემ შესანიშნავად შეასრულა თერმულ საამქროში სამი ლამპური გენერატორის დამონტაჟების სამუშაოები, მოკლე დროში მაღალხარისხოვნად გამართა ძრავის საამქროში მუხლა ლილვის მანქანური გენერატორი და სხვ. თ. გენძეხაძე ამჟამად მაღალი სიხშირის დანადგართა გამოყენების საუკეთესო მცოდნედ ითვლება. სწორედ ამიტომ იგი მიწვეული იყო მაღალი სიხშირის დენის მრეწველობაში გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ და მეორე ტექნიკურ კონფერენციებზე ლენინგრადში, რომელთა მუშაობაში ქართველმა ინჟინერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ასობით ქართველმა ავტომობილმშენებელმა კვალიფიკაცია აიმაღლა მოსკოვისა და გორკის საავტომობილო ქარხნებში. მათ შორის არიან სამჭედლო საამქროს სადისპეტჩერო ბიუროს უფროსი გივი კავთელაძე, რომელსაც ავტომობილმშენებლის ოსტატობა შეასწავლეს მოსკოველმა ავტომობილმშენებლებმა ამხ. რომანენკომ და კუნიცმა, მტვიფრავი ნოდარ ბუხაიძე, რომელსაც ასწავლიდა მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ოსტატი ამხ. პოგორელოვი.

შასის საამქროს ტექნიკური ნაწილის უფროსმა ინჟინერმა რევაზ ქარცივაძემ მთელ ქარხანაში გაიარა სახელი, როგორც ნოვატორმა, სხვადასხვა ტექნიკურ სიახლეთა ავტორმა.

— რუსი ამხანაგების დახმარებით, — ამბობს რ. ქარცივაძე, — შარშან ისე სწრაფად ავითვისეთ საჭის მექანიზმის სხვადასხვა ნაწილების მაღალი სიზუსტით წარმოება, რომ ამან ჩვენი რუსი მასწავლებლებიც კი გააკვირვა. ეს ჩვენი წარმატება მათი ძმური დახმარების შედეგი იყო.

ქართველი ავტომობილმშენებლები დიდად არიან დავალებული მოსკოვის მცირელიტრაჟიანი საავტომობილო ქარხნის მოწინავე სპეციალისტებისაგან, რომლებიც მათ დაეხმარნენ თვითსაცლელ ავტომანქანებზე ამყირავებელი მექანიზმის კარდანის ჯვართავის სახარატო დამუშავების გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვაში. წინათ აღნიშნული პროცესი უნივერსალურ სახარატო ჩარხზე სრულდებოდა. დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება, ფუჭდებოდა მჭრელი იარაღები, მაგრამ ეს შემდეგ, რაც მოსკოველ ავტომობილმშენებლებმა დახმარებით განხორციელდა ცვლილებები ჯვართავის სახარატო დამუშავებაში, საქმე გამოსწორდა, შრომის ნაყოფიერება ერთიორად ამაღლდა.

ამას წინათ მოსკოველმა ავტომობილმშენებლებმა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ქართველ სპეციალისტთა დასახმარებლად მოავლინეს ინჟინერ-ტექნოლოგი გ. კოგანი, რომლის ხელმძღვანელობით გაჩაღდა მუშაობა ცილინდრის ბლოკის სერიული წარმოების ასათვისებლად.

პარტიის XX ყრილობის მუშაობის დღეებში სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრის განკარგულებით ქუთაისის ავტოქარხანაში ძმური დახმარების გაწევის მიზნით ურალის, გორკის და მოსკოვის საავტომობილო ქარხნებიდან ჩამოვიდნენ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც ადგილზე დაკვირვებით შეისწავლეს რუხი თუჯის სამსხმელო საამქროს ჩამორჩენის მიზეზები. გორკის საავტომობილო ქარხნის ინჟინერი ვასილ კუზნეცოვი თავის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას სიხარულით უზიარებდა საამქროს ხელმძღვანელებს, ოსტატებს, მუშებს, აძლევდა მათ დარიგებებს. ეს დიდად დაეხმარა ქართველ ავტომობილმშენებლებს ჩამორჩენის მიზეზების აღმოფხვრაში.

სულ უფრო მტკიცდება რუს და ქართველ ავტომობილმშენებელთა ურღვევი შრომითი მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა, რაც ჩვენი სამშობლოს შემდგომი აღორძინების, კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვების საიმედო საწინდარია.

რ. ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ

«ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲒᲭᲝ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ»

„კომუნისტში“ ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ქალაქ გორის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტები.

გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო. ვაჭრობის განყოფილების გამგეს ამხ. ი. გოგინაშვილს სავაჭრო ქსელსადმი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადა მკაცრი საყვედური, ამავე დროს ეკრძალა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტები.

გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო. ვაჭრობის განყოფილების გამგეს ამხ. ი. გოგინაშვილს სავაჭრო ქსელსადმი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადა საყვედური, მასვე დაეფალა მკვეთრად გაუმჯობესოს სავაჭრო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, გადამჭრელი ზომები მიიღოს ვაჭრობის წესების დარღვევის ლიკვიდაციისათვის, სავაჭრო ქსელში სამუშაოდ არ დაუშვას ვაჭრობის წესების დარღვევისათვის მოხსნილი მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალები სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

მეღორეობა ხორცის წარმოების გაძიდების მთავარი რეზერვია

★ ★

ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობა, აგრეთვე მეცხოველეობა საბჭოთა მეურნეობებში. გადიდდეს ხორცის წარმოება უწინარეს ყოვლისა მეღორეობის, როგორც ყველაზე მალმწიფებადი მეცხოველეობის დარგის, განვითარების გზით; აყვანილ იქნას ღორის ხორცის ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში ხორცის წარმოების საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე, რისთვისაც გამოყენებულ იქნას ღორების სახორცედ და საბეკონედ გასუქების უპირატესობანი.

სკკპ XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

★ ★

სასარგებლო საქმე

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველ სენაკში შეიქმნა მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა, რომელიც რესპუბლიკის კოლმეურნეობებს ამარაგებს თეთრი მსხვილი ჯიშის მოზარდეულით. მეურნეობას აქვს 296 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა.

სანაშენო მოზარდეულის გამოყვანის გარდა, მეურნეობას დაკისრებული აქვს მეტად სერიოზული ამოცანა — ხორცის ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

უკანასკნელ წლებში მეურნეობას აქვს ერთგვარი მიღწევები. მაგალითად, 1954 წელს ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მიიღეს 305 ცენტნერი ხორცი, 1955 წელს კი 432 ცენტნერი.

შარშან სახელმწიფოს კოლმეურნეობებისათვის ჩაბარეს 400 სული მოზარდეული. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი ძაღალი სანაშენო იყო. ძველსენაკელებს აქვთ ღორის პროდუქტიულობის ამაღლების საკმაო გამოცდილება. ამას მოწმობს ის, რომ შარშანწინ თვითეულ დედაღორზე მიიღეს 16 გოჭი, ხოლო შარშან — 17. მეტად საგულისხმოა ასეთი მონაცემიც: გასულ წელს ერთ დედაღორზე მიღებული ნამატის მთლიანმა წონამ სამეურნეო წლის ბოლოს საშუალოდ შეადგინა 11.7 ცენტნერი.

მეურნეობა შეუნელებელი ყურადღება ექცევა პირუტყვის შერჩევას სანაშენოდ. მოწინავე მეღორეები ცდილობენ კარგი თაობა იყოლიონ გასასუქებლად. ამ მიზნით არჩევენ ძლიერ და მეტი საკვების ათვისების უნარის მქონე ღორებს.

საღორეებში ყოველთვის დაცულია სათანადო ტემპერატურა. ღორების სადგომებს ხელოვნურად არ ათბობენ. ამას ის უპირატესობაც აქვს, რომ შენობაში ჰაერი სუფთაა. საღი ჰაერის დაგროვებას ხელს უწყობს აგრეთვე კარგად მოწყობილი ვენტილაცია.

მოგებამდე ათი დღით ადრე მაკეღორებს ათავსებენ დეზინფეცირებულ დოლფარაში. ახალმოგებულ გოჭებს სამი დღის განმავლობაში ამყოფებენ ცალკე ყუთებში, რათა ისინი დაიცვან დაზიანებისაგან. შემდეგ მომვლელები მათ აკრავენ საეშვე კბილებს და ანაწილებენ დედის ცურზე ისე, რომ შედარებით სუსტები მოხვდნენ წინ, მკერდის მხარეს, ხოლო ძლიერები — ბოლოს. ასეთი განლაგების მიზანი ის არის, რომ წინა მხარეს რძე მეტია და უფრო ყუთიანი.

საუკეთესო შედეგი გამოიღო მოხარშული კონცენტრირებული საკვებითა და ნედლი, წვრილად დაკეპილი საკვები გოგრით კვებამ. მეხუთე დღიდან გოჭებს აძლევენ საკვებში შერევით წითელ მიწას, ცარცსა და ხის ნახშირს. მეთორმეტე დღიდან ნამატი დედაღორებიანად, ამინდის მიუხედავად, გაჰყავთ სუფთა ჰაერზე დღეში საათნახევრით. გოჭები ძალიან ეტანებიან მწვანე საკვებს. ამიტომ მეურნეობაში უთესიათ ქერი, რომლის გადაძოვება ხდება მარტის პირველ რიცხვებში. ამით თავიდან იცილებენ კუჭის აშლილობით გოჭების დაავადებას, რადგანაც ისინი ერთბაშად არ მიიღებენ მწვანე საკვებს, რომლის მიცემა წყდება შემოდგომის დადგომისთანავე. 15-20 დღის ასაკში გოჭები ხალისით იღებენ საკვებს დედის საკვებურიდან. ასე გრძელდება გოჭების ასხლეტამდე.

დედაღორებისაგან მოცილებული თვითეული გოჭის წონა აღწევს 13-14 კილოგრამს, ხოლო ცალკეული ეგზემპლარები 22-25 კილოგრამსაც იწონიან.

გასასუქებლად არჩევენ ოთხი თვის გოჭებს. თვითეული მათგანი ამ ასაკში 35-40 კილოგრამს იწონის. მეურნეობას მიცემული ჰქონდა დავალება თვითეულ გასასუქებელ ღორზე დღეღამეში მიეღწია 500 გრამი მატებისათვის. ფაქტიურად სადღეღამისო მატებამ შეადგინა 550 გრამი; იყო მეტიც — ცალკეულმა ღორებმა მოიმატეს 700-800 გრამი. ეს სწორი კვების შედეგად არის მიღწეული. მეურნეობაში თესავენ სხვადასხვა საკვებ ძირხვენებს, წვნიან ბაღჩეულს, მიწვავშლას და სხვ. როგორც პრაქტიკამ აქაურ მეღორეებს უჩვენა, მრავალჯერ კვება ეკონომიურად ხელსაყრელი არ არის, პირუტყვი მეტს ნერვიულობს, რის გამო საკვების ათვისების პროცენტი რამდენადმე ეცლება. ამიტომ კვება ხდება სამჯერ, ნორმალურად დაყოფილი ულუფებით, ხოლო იმ დედაღორებს, რომლებსაც ძუძუთა გოჭები ჰყავთ, კვებავენ ოთხჯერ. მათ უხვად აძლევენ მარილს, ძვლის ფქვილიან საკვებს, 30 გრამ თევზის ქონს ან მის შემცვლელს.

მეურნეობას მრავალი გამოცდილი მეცხოველე ჰყავს. ე. ნიკოლაიჩუკი 22 დედაღორს უვლის. მან შარშან სულ მიიღო 374 გოჭი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 335-სა. ერთ-ერთმა დედაღორმა ერთ მოგებაზე მოიგო 19 გოჭი. ნამატი მთლიანად შეინარჩუნეს. ს. ალიაკინამ 21 დედაღორზე საშუალოდ ერთზე მიიღო 18 გოჭი. მათი მაგალითისამებრ შრომობს ა. ალიოხინაც, რომელმაც შარშან მეურნეობას 308 გოჭი გაუზარდა.

1954 და 1955 წლებში საბჭოთა მეურნეობაში შეამცირეს დანახარჯი ერთი ცენტნერი ხორცის წარმოებაზე. გაეცნენ რა პარტიის XX ყრილობის დირექტივებს, აქ აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს მიმდინარე წელს ერთი ცენტნერი ხორცის წარმოებაზე დანახარჯი კიდევ უფრო მეტად შეამცირონ გასულ წლებთან შედარებით.

ძველსენაკელებმა გადაწყვიტეს წელს დედაღორების სულადობა აიყვანონ 210-მდე, შარშანდელთან შედარებით უფრო მეტად გაადიდონ ღორის ხორცის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე. გარდა ამისა, სახელმწიფოს საჯიშედ ჩააბარონ 400 სული ჯანსაღი, სანაშენოდ ვარგისი მოზარდეული, 1.860 ცენტნერი ხორცი, 30 ძროხიდან თვითეულზე მოწველონ 2.450 კილოგრამი რძე. ამ პირობის გასანაღდებლად უკვე გაჩაღდა მუშაობა. თუ წინათ ყოველი კილოგრამი ხორცის მატებაზე ხუთ კილოგრამამდე კონცენტრატებს ხარჯავდნენ, ახლა უფრო იაფი საკვების გამოყენებით ეს მაჩვენებელი კლებულობს. ზამთარში საკვებად აქვთ 700 ტონა სიმინდის ფოთლიანი ღერო და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ტაროს 300 ტონა სილოსი, აგრეთვე საკვები ძირხვენები, გოგრა.

განზრახულია წელს სიმინდი დაითესოს 200 ჰექტარზე, აქედან სასილოსედ —30 ჰექტარი. ძირხვენები დაიკავებს 10 ჰექტარს, მწვანე სათიბი კულტურები — 47 ჰექტარს, მწვანე საბალახო ექნებათ 20 ჰექტარი, სადაც დაითესება ძირითადად პარკოსანი კულტურები.

მეურნეობის მუშაკები იბრძვიან მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის და ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ღორის ხორცის წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის.

ბ. ჟილიუტინი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ციფრები და ფაქტები

★ მეღორეობა ხოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში იყო 184.608 სული ღორი, ხოლო 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის — 202.467.

★ 1952 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 11.700 სული ღორი, ცოცხალი წონით — 10.100 ცენტნერი ღორის ხორცი, 1954 წელს — 15.700 სული ღორი, ცოცხალი წონით — 21 ათასი ცენტნერი ხორცი; 1955 წელს — 24 ათასი სული ღორი, ცოცხალი წონით — 27 ათასი ცენტნერი ხორცი.

★ გათვალისწინებულია: 1956 წელს სახელმწიფოს ჩაბარდეს სულ ცოცა 30.200 ცენტნერი ღორის ხორცი.

★ სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას 50 დედაღორი ყავს. კარგი მოვლის შედეგად თვითეულ დედაღორზე შარშან მიიღეს 16 გოჭი. მარტო მეღორეობიდან ფულადი შემოსავალი შეადგენს 67 ათას მანეთს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 64.500 მანეთისა. მეღორეობაში კარგი მუშაობისათვის ფერმის მუშაკებზე პრემიის სახით გაიცა 34 გოჭი. ამავე რაიონის სოფელ ჯაგნის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ თვითეულ დედაღორზე მიიღეს და გაზარდეს 17 გოჭი, ხოლო სოფელ დაბლაგომის კოლმეურნეობაში 44 დედაღორიდან თვითეულზე მიიღეს და შეინარჩუნეს 16,3 გოჭი.

★ წითელწყაროს რაიონმა წელს პირველ კვარტალში სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 573 ცენტნერი ღორის ხორცი. ფაქტიურად 1 მარტისათვის უკვე ჩააბარა 697 ცენტნერი. სახელმწიფოსათვის ღორის ხორცის ჩაბარების პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე დიდი გადაჭარბებით გაანღდეს აგრეთვე ჩხოროწყუისა და ტყიბულის რაიონებმა.

★

კონდოლელთა ვალდებულება

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კონცენტრირებულ საკვებთან ერთად უკანასკნელ ხანებში ღორების გასაზრდელად და გასასუქებლად ფართოდ იყენებენ იაფ მწვანე და წვნიან საკვებს.

ახლა კოლმეურნეობაში ჰყავთ 271 სული ღორი, რითაც კოლმეურნეობამ შეასრულა პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებული დავალება. კარგი მოვლის შედეგად კოლმეურნეობაში თვითეულ დედაღორზე შარშან მიიღეს და შეინარჩუნეს 16,5 გოჭი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 გოჭისა.

ყურადღება ექცევა სახელმწიფოსათვის ღორის ხორცის ჩაბარებას. წელს გასასუქებლად დაყენებულია 35 სული ღორი. გადაწყვეტილია ერთჯერადი დედაღორების დაგოჭიანებისათვის მოკლე დროში ააშენონ გამარტივებული ტიპის ბანაკი და გასასუქებელი მოედანი, ამით მთელი წლის განმავლობაში ღორების გასუქება მოაწყონ მარტივ და იაფ ნაგებობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად კონდოლელმა კოლმეურნეებმა იკისრეს ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მიიღონ სულ ცოტა 27 ცენტნერი ღორის ხორცი.

„გლეხის ყულაბა“

კაჭრეთი. („კომუნისტის“ კორ.). იმ კოლმეურნეობებში, სადაც სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ღორის ხორცის წარმოების გადიდებას, კარგ შედეგსაც აღწევენ. მაგალითად, სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს მთელი ჩაბარებული ხორცის 35 პროცენტს ღორის ხორცი შეადგენდა.

მთელი რიგი კოლმეურნეობები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ ღორის სადგომების მშენებლობას. კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე ააშენა ტიპური სადგომი 25 დედაღორისათვის, ხოლო ყანდაურის კოლმეურნეობამ — 35 დედაღორისათვის.

მზრუნველობით მოეკიდნენ მეღორეობის განვითარებას სოფელ კაკაბეთის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ წელს ჯიშიანი ღორების რაოდენობა ნამატიანად 500 სულს მიაღწევს. კოლმეურნეობაში 12 დედაღორიდან საშუალოდ თვითეულზე ოცკა მიიღეს 10 გოჭი.

მეღორეობას შეუძლია იყოს და უნდა იყოს მეურნეობის მაღალრენტაბელური დარგი. ხალხური სიბრძნე ამბობს: „ღორი გლეხის ყულაბაა“, ეს ყულაბა შეუძლია ყოველ კოლმეურნეობას ჰქონდეს და გაამრავლოს საკოლმეურნეო დოვლათი. ამისათვის საჭიროა ყველა კოლმეურნეობამ გააუმჯობესოს ღორების მოვლა, კვება; მეტი ღორი გაასუქოს და გაადიდოს ხორცის წარმოება.

ყველაზე შემოსავლიანი დარგი

★

ათიოდე წლის წინათ მეღორეობა მეტად ჩამორჩენილი დარგი იყო წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარაძის კოლმეურნეობაში. ადგილობრივი ჯიშის ღორები არცთუ ისე სარგებლიანი გამოდგა მეურნეობისათვის და, მოგების ნაცვლად, გაწეულ შრომასაც ვერ ანაზღაურებდა. 1945 წელს კოლმეურნეობის ფერმამ ძალიან შეინარჩუნა 30 სული ღორი. მათ შენახვაზე დიდი რაოდენობით ხარჯებიდა შრომადღეები, ფურაჟი. იმ წელს კოლმეურნეობამ მეღორეობით სულ 7.000 მანეთი შემოსავალი მიიღო, მაშინ როცა 13 ათასი შრომადღე და ათასობით მანეთის ფურაჟი დახარჯა.

ასეთ მდგომარეობის გამო კოლმეურნეობის გამგეობა იქამდეც კი მივიდა, რომ გადაწყვეტა ხელი აეღო მეღორეობაზე. მაგრამ გამოითქვა აზრი, რომ გაუმჯობესებულიყო ღორების ჯიშობრივი შემადგენლობა. სწორედ ამ მიზნით ჯაფარაძელმა კოლმეურნეებმა თეთრი მსხვილი ჯიშის კარაბები შემოიყვანეს და მოახდინეს მათი შეჯვარება ადგილობრივ ჯიშთან.

პირველ ხანებში ჩვენი მეღორეები არ იცნობდნენ ამ ჯიშს, ნაკლებად ფლობდნენ მისი შენახვის ხერხებს. დაუღალავი მუშაობითა და დაჟეირვებით ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა. 1949 წელს მოწონაგე მომვლელმა მოსე ქადაგიძემ მისთვის მოსავლელად მიჩენილი დედაღორებიდან თვითეულზე საშუალოდ 25 გოჭი გაზარდა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება დაიმსახურა. ასეთსავე შედეგებს მიაღწევს ი. ბალაშენკომ და დ. სეფიაშვილმა, რომლებიც ახლა მეღორეობის ფერმაში ბრიგადირებად მუშაობენ. ფერმის ყველა მუშაკი გულმოდგინედ გაეცნო ყოლგადელ მეღორეთა გამოცდილებას. ვოლგადა თეთრი მსხვილი ჯიშის ღორის სამშობლოდ ითვლება.

წინათ ვთვლიდით, რომ მეღორეობის განვითარებისათვის აუცილებელი იყო კონცენტრატი, მაგრამ მოწინავე გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ღორებს შეუძლიათ მაღალ პროდუქტიულობა მოგვცენ მაშინ, თუ კონცენტრატთან და კარტოფილთან ერთად დიდი რაოდენობით მივცემთ მწვანე საკვებს — ითესჯას და პარკოსან ბალახებს. დაეარწმუნდით რა ამაში, მეღორეობის ბრიგადები ისეთ ადგილზე განალაგეთ, სადაც შესაძლებელია მწვანე კონვეიერის მოწყობა, რაც ხელს უწყობს ღორის მაღალ პროდუქტიულობას და აჩქარებს მოზარდის განვითარებას.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ღორების მოთხოვნილება საკვებზე. საკვები ულუფა იმის მიხედვით უნდა შემუშავდეს, თუ რა წონისა და ასაკისაა ღორი. საკვების შემზადების პირველი ეტაპია ზუსტად ითვალისწინებენ ღორებს გემოვნებას, მონელების უნარს, საკვების ყუთიანობას.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით მივაღწიეთ იმას, რომ კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმამ საკმაოდ გაითქვა სახელი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ ჩვენში კიდევ უფრო განვითარდა მეღორეობა. საკმარისია გადავხედოთ შემდეგ მონაცემებს, რომ დავრწმუნდეთ ამ აზრის სისწორეში. 1953 წელს ღორების საერთო სულადობა იყო 647, 1954 წელს — 852, ხოლო 1955 წელს — 995.

ღორების ჯიშობრივი გაუმჯობესების შედეგად საგრძნობლად შემცირდა მეცხოველეობის ამ დარგში დახარჯული შრომადღეების რაოდენობა და, მაშასადამე, თვითღირებულება. მაგალითად, თუ 1952 წელს მეღორეობაში 11 ათასი შრომადღე დაიხარჯა და ამ დარგიდან მოღებული შემოსავალი 91 ათას მანეთს არ აღემატებოდა, 1955 წელს დაიხარჯა 12 ათასი შრომადღე და მიღებულ იქნა 190.358 მანეთი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი ომამავლობისათვის ახალი ამოცანები დასახა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა მეღორეობას, როგორც ყველაზე სწრაფ მზარდ და შემოსავლიან დარგს. ჩვენი მეღორეები აქტიურად გამოეხმაურნენ ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თაოსნობას და გადაწყვიტეს ნაწ�ელოვნად გაადიდონ ღორის ხორცის წარმოება, მეექვსე ხუთწლიდან ამ დარგში დასახული გეგმა შეასრულონ 1956 წელს. 1955 წლის პირველი ოქტომბრიდან 1956 წლის პირველ მარტამდე ჩვენმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს იმდენი ღორის ხორცი ჩააბარა, რამდენიც 1953-1954 წლებში, ამ ანამად გასასუქებლად დაყენებულია სამჯერ მეტი ღორი, ვიდრე შარშან იყო. ჩვენი მიზანია წელს ყოველ 100 ჰექტარ სახნავ ფართობზე ვაწარმოოთ 31 ცენტნერი ღორის ხორცი, რაც თითქმის სამჯერ აღემატება გასული წლის რაოდენობას. ხორცის წარმოების ამ დონეს კოლმეურნეობის პერსპექტიული გეგმა 1960 წლისათვის ითვალისწინებდა, მაგრამ, გადავსინჯეთ რა მეღორეობის განვითარების ჩვენი რეალური შესაძლებლობანი, ვალდებულება ვიკისრეთ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელსვე გავანაღდოთ ხუთი წლის დავალება, ხოლო 1960 წლისათვის ყოველ 100 ჰექტარ სახნავ ფართობზე ვაწარმოოთ 40 ცენტნერი ღორის ხორცი.

მრავალი წლის მუშაობის პრაქტიკამ გვაჩვენა, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს ღორების დაჩქარებული მეთოდით სუქებას, რაც მნიშვნელოვნად აკლებს ხორცის თვითღირებულებას, აჩქარებს ღორის სულადობის შემდგომ გადიდებას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, კოლმეურნეობას ჯერ კიდევ ძვირი უჯდება თვითეული კილოგრამი ღორის ხორცის წარმოება (1 კილოგრამი — 10 მანეთზე მეტი), ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება იქთაკენ არის მიმართული, რომ მინიმუმამდე შევამციროთ დანახარჯები ხორცის წარმოებაზე. ამისათვის გათვალისწინებულია ინტენსიურად გამოვიყენოთ ძირითადი დედაღორები გოჭების კვლავწარმოებისათვის, აღვაკეთოთ ბერწიანობა და ამ საფუძველზე მივაღწიოთ ღორების ორჯერად და მეტ დაგოჭიანებას.

გასული წლის გაზაფხულზე და ზაფხულში მიღებული ნამატიდან დიდი ნაწილი შეინარჩუნეთ იმ ვარაუდით, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაგოჭიანდნენ. წარმოებისათვის ცარგის ღორებს ისე არ ვყიდით, თუ მათგან ერთხელ მაინც არ მივიღეთ ნამატი. სანაშენო გოჭებს ვყოფთ ცალკე ჯგუფებად და ვამზადებთ მათ შემდგომი წარმოებისათვის.

ჯაფარიძელი მეღორეები წელს ნაყოფიერად მოემზადნენ ნამატის მიღებისათვის. უკვე მიღებული 700 გოჭი მთლიანად შენარჩუნებულია. გათვალისწინებული გვაქვს წელს საშუალოდ ერთ დედაღორზე 13 გოჭი მივიღოთ. მოწონაგე მეღორეები ნინო ჩაკალური, შალვა ქალაჩიევი და მრავალი სხვა კარგად ფლობენ ნამატის გაზრდის წესებს. მათ გასულ წელს სუქებაზე დაყენებული დედაღორებიდან თვითეულზე 1.042 კილოგრამი ცოცხალი წონა მიიღეს.

ჯაფარიძელი მეცხოველეები ყველა ღონისძიებას განახორციელებენ იმისათვის, რომ პირნათლად გაანაღდონ შეჯიბრებითი ნაკისრი ვალდებულება.

ნ. ჟოკიაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გავაღიდოთ და გავაიაფოთ ღორის ხორცის პროდუქცია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია: „ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კოლმეურნეობებში **საზოგადოებრივი მეცხოველეობა**, აგრეთვე მეცხოველეობა საბჭოთა მეურნეობებში. გადიდდეს ხორცის წარმოება უწინარეს ყოვლისა მეღორეობის, როგორც ყველაზე მალმწიფებადი მეცხოველეობის დარგის, განვითარების გზით; აყვანილ იქნას ღორის ხორცის ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში ხორცის წარმოების საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე...“ ეს დირექტივა დიდ და პასუხსაგებ ვალდებულებას აკისრებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, განსაკუთრებით მეღორეობის დარგში მომუშავეებს.

სხვა საშუალებებთან ერთად ღორის ხორცის პროდუქციის გადიდებისა და მისი ღირებულების შემცირების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ერთჯერადი დედაღორების გასუქებას. ამ მეთოდს ზოოტექნიკურ ლიტერატურაში ისეთ ოპერაციას უწოდებენ, როდესაც სანეზვე ბურვაკს 8-9 თვის ასაკში აგრილებენ, მისგან იღებენ გოჭებს, ზრდიან მათ და დედასთან ერთად ასუქებენ.

ერთჯერად დედაღორებად ყველა ჯიშია ნეზვი არ გამოდგება. ამისათვის საჭიროა ადრეშეწიფებადი ღორები. რადგან საგვიანო ჯიშის ღორები, ჯერ-ერთი, 8-9 თვის ასაკში ვერ აღწევენ ფიზიოლოგიურ სიმწიფეს, რომ მათგან შეიძლებოდეს შთამომავლობის მიღება და, მეორე, — მათგან ჰიღებული შთამომავლობა 7-8 თვის ასაკში ვერ მიაღწევს სახორაცე სუქების კონდიციას. ერთჯერად დედაღორად გასასუქებლად საერთოდ გამოდგება კულტურული ჯიშის ღორი. საქართველოს პირობებში კი ამ საქმისათვის ყველაზე ხელსაყრელია მსხვილი თეთრი ჯიშის ღორები და ადგილობრივ ღორებთან მისი მალასისხლიანი ნაჯვარები.

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული ჯიშის ღორების სანეზვე ბურვაკებიდან ყველა არ გამოდგება ერთჯერად დედაღორად, ვინაიდან 8-9 თვის ასაკში მათგან ჩვეულებრივ მხოლოდ საუკეთესოები აღწევენ ხოლმე სასურველ განვითარებას. მაგალითად, საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ცდებით მაღალსისხლიანი ნაჯვარი სანეზვე ბურვაკების საშუალო ცოცხალი წონა აღნიშნულ ასაკში 66 და 106 კილოგრამს შორის მერყეობს (საშუალო წონაა 86 კილოგრამი). შთამომავლობის მისაღებად კი მხოლოდ ისეთი სანეზვეები ივარგებენ, რომელთა ცოცხალი წონა 90-100 კილოგრამზე ნაკლები არ არის, — უფრო ნაკლები წონის ღორები განუვითარებელ და სუსტ გოჭებს იძლევიან და მათი დიდი ნაწილი იღუპება. ამიტომ თვითეული დედაღორის ერთ ბუღობაზე მოგებული გოჭებიდან ერთჯერად დედაღორად 1-2 სანეზვე ბურვაკზე მეტის აყვანა არ ხერხდება.

კიდევ ერთი წინაპირობაა საჭირო 8-9 თვის ასაკში ერთჯერად დედაღორებად ვარგისი სანეზვეების მისაღებად. როგორც ჩვენი, ისე მთელი რიგი სხვა მკვლევარების ცდებით დადგენილია, რომ შეუძლებელია 8-9 თვის ასაკში სანეზვე ბურვაკების 90-100 კილოგრამის ცოცხალ წონამდე აყვანა, თუ არ გამოვიყენეთ ცილით მდიდარი ცხოველური საკვები, როგორიც არის სისხლის ფქვილი, ხორცის ფქვილი, ხორცქვლის ფქვილი, მოხდილი რძე და სხვ. ამიტომ ყოველი მეურნეობა, რომელშიც გადაწყდება ერთჯერადი დედაღორების გამოყენება, უსათუოდ უნდა უზრუნველვყოთ აღნიშნული საკვებით (საკვების მთლიანი მოთხოვნილების 10-12 პროცენტი).

ერთჯერადი დედაღორების გასუქება ადიდებს ღორის ხორცის პროდუქციას და, გარდა ამისა, საგრძნობლად იაფებს მის თვითღირებულებას. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ორ მაგალითს. პირველი, როცა მეურნეობა არ აწარმოებს ერთჯერადი დედაღორების გასუქებას და, მეორე, როცა მეურნეობა აწარმოებს ამას. განვიხილოთ პირველი შემთხვევა. ერთ ძირითად დედაღორს წელიწადში საკუთარი არსებობისათვის (ნორმატივების მიხედვით) 13,5 ცენტნერი საკვები ერთეული ესაჭიროება, მისგან მიღებულ 12 გოჭს 2 თვემდე გასაზრდელად — 2,52 ცენტნერი საკვები ერთეული, ერთ ძირითად დედაღორის წილად მომავალ კერატ მწარმოებელს, სარემონტო ბურვაკს და მოზრდილ წუნდებულ სასუქ დედაღორს — 0,55 ცენტნერი და 6 სულ სასუქ ბურვაკს — 24 ცენტნერი. ერთ ძირითად დედაღორს საერთოდ თავისი ბრუნვით მთელი წლის განმავლობაში დასჭირდება სულ 40,57 ცენტნერი საკვები ერთეული. აჰავე დროს ერთი დედაღორის წლიური პროდუქცია საშუალოდ 568 კილოგრამი იქნება (ცოცხლად გაყიდული გოჭები და გასუქებული ღორები), ისე, რომ თვითეულ კილოგრამ ღორის ხორცის წარმოებაზე მეურნეობას 7,4 კილოგრამი საკვები ერთეული დაეხარჯება.

განვიხილოთ მეორე შემთხვევა, როდესაც მეურნეობა თვითეულ ძირითად დედაღორზე, გარდა ზემოაღნიშნულისა, დამატებით ასუქებს ერთ სულ ერთჯერად დედაღორს თავის ნამატიანად. ამ შემთხვევაში, აღნიშნულ 40,57 ცენტნერ საკვებ ერთეულს გარდა, თვითეულ ძირითად დედაღორზე მეურნეობას დამატებით საშუალოდ დასჭირდება საკვების შემდეგი რაოდენობა: ერთი სული სანეზვის გასაზრდელად 2-8 თვის ასაკამდე 4.8 ცენტნერი საკვები ერთეული, ამავე სანეზვის მაკეობის პერიოდში — 5,4 ცენტნერი, მასვე გოჭების გაზრდის დროს — 3.0 ცენტნერი, მისგან მიღებულ 7 სულ გოჭს 2 თვემდე გასაზრდელად — 1,47 ცენტნერი, მათ გასასუქებლად — 23,1 ცენტნერი და თვით დედაღორის გასასუქებლად — 2,4 ცენტნერი. ამრიგად, ყოველ ძირითად დედაღორზე დამატებით საშუალოდ კიდევ დაიხარჯება 40,17 ცენტნერი საკვები ერთეული, ესე იგი სულ 80,74 ცენტნერი. ამავე დროს ერთ ძირითად დედაღორზე საშუალოდ ზედმეტად მივიღებთ 630 კილოგრამ პროდუქციას ღორის ხორცის სახით, სულ 1.198 კილოგრამს.

ამის მიხედვით ერთი კილოგრამი ხორცის წარმოებაზე ჰეურნეობას დაეხარჯება 6,7 კილოგრამი საკვები ერთეული. ამრიგად, როდესაც მეურნეობა თვითეულ ძირითად დედაღორზე გასასუქებს თითო ერთჯერად დედაღორს თავის ნამატიანად, ერთი კილოგრამი პროდუქციის შესაქმნელად 0,7 კილოგრამი საკვები ერთეულით უფრო ნაკლები დაეხარჯება, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

ერთჯერად დედაღორებად უნდა შეარჩიონ ადრე გაზაფხულის (მარტი-აპრილი) გოჭები, რათა ზამთრის პირისათვის ისინი იმდენად განვითარდნენ, რომ ზაფხულის დოლისათვის შესაძლებელი იყოს მათი ნოემბერ-დეკემბერში დაგრილება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, ჯერ ერთი, იაფფასიანი მწვანე საკვების გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, გოჭების უკეთ განვითარებას და პროდუქციის ერთეულზე ნაკლები რაოდენობის საკვების ხარჯვას.

მეღორეობა უნდა გადავაქციოთ ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სადღეისო ზრუნვის საგნად, ამ საფუძველზე მეექვსე ხუთწლედში მკვეთრად გავადიდოთ ღორის ხორცის წარმოება და წარმატებით შეასრულოთ ამ დარგში პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახული ამოცანები.

ი. პოკიაშვილი,

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეღორეობის განყოფილების გამგე.

დიდ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ანტონი იდენმა მიიღო გ. მ. მალენკოვი

ლონდონი, 19 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. მალენკოვი, რომელიც ლონდონში იმყოფება, დღეს მიიღო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ანტონი ედენმა. საუბარში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა.

საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 19 მარტი. (საკდესი). დღეს საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელექტროსადგურთა მინისტრი გ. მ. მალენკოვი, ეწვია ჰარუელის საექსპერიმენტო ატომურ სადგურს, რომელიც ინგლისის მთავარი სამეცნიერო-საკვლევი ცენტრია ატომის ენერგიის დარგში. საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ბრიტანეთის ატომის ენერგიის საკითხთა სამმართველოს თავმჯდომარე სერ ედვინ პლაუდენი, სადგურის დირექტორი პროფესორი ჯონ კოკროფტი, მისი მოადგილე დოქტორი შონლენდი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლები.

მოკლე შესავალი საუბრის შემდეგ დელეგატები ჯგუფებად დაიყვნენ და სადგურის უფროს მეცნიერ თანამშრომელთა თანხლებით წავიდნენ დანადგარებისა და აგრეგატების დასათვალიერებლად.

საბჭოთა ენერგეტიკოსებს უჩვენეს ატომის რეაქტორი, რომელსაც აქვს გრაფიტის მაყოვნებელი, აგრეთვე დემონსტრირებულ იქნა რადიაქტიური მასალების ნარჩენების ნერხვები, რომლებიც გამოყენებულია სადგურში, რადიაქტიური იზოტოპების წარმოება სამედიცინო და სამრეწველო მიზნებისათვის.

საბჭოთა დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს აგრეთვე მშენებლობა ახალი მძლავრი რეაქტორისა, რომელშიც მაყოვნებლის როლს შეასრულებს მძიმე წყალი. დელეგატები გაეცნენ ამ რეაქტორის მაკეტებს.

სადგურის დათვალიერების დროს ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციის (ბიბი-სი) სატელევიზიო სტუდიის წარმომადგენლებმა სთხოვეს გ. მ. მალენკოვს გაეზიარებინა შთაბეჭდილება ნახულის გამო. ამ თხოვნის პასუხად გ. მ. მალენკოვმა თქვა, რომ, იმის მიხედვით, რაც მან ნახა, სადგურის მუშაობა კარგად მიმდინარეობს. „ჩვენ მოხარული ვიქნებით გადავიღოთ ყველაფერი, რაც კი კარგი რამ აქვთ ინგლისელ მეცნიერებს, — დასძინა მან, — და ჩვენი მხრივ მზად ვართ გავიზიაროთ ჩვენი გამოცდილება“.

შემდეგ, მადლობა გადაუხადა რა სადგურის ხელმძღვანელობას და მეცნიერ თანამშრომლებს გულითადი მიღებისათვის, დელეგაციის ხელმძღვანელი გ. მ. მალენკოვი ლონდონში გაემგზავრა.

დელეგაციის წევრებმა, რომლებიც ჰარუელში დარჩნენ, განაგრძეს სადგურის დათვალიერება. დათვალიერების შემდეგ სადგურის დირექტორმა პროფესორმა ჯონ კოკროფტმა საუზმე გამართა საბჭოთა ენერგეტიკოსების პატივსაცემად.

გაიხსნა სამგზავრო საჰაერო მიმოსვლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ბირმას შორის

პეკინი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ კუნმინში დაეშვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თვითმფრინავი, რომელმაც შეასრულა კუნმინ-რანგუნის რეისი და უკან დაბრუნდა. ამით დაიწყო საჰაერო სამგზავრო მიმოსვლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ბირმას შორის ჩინეთ-ბირმის შეთანხმების შესაბამისად. რეგულარული რეისები კუნმინ-რანგუნის ხაზზე დაიწყება ამა წლის აპრილში.

ცნობაში აღნიშნულია, რომ რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწესება უფრო ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ბირმას შორის ეკონომიურ და კულტურულ გაცვლას.

მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა

ლონდონი, 19 მარტი. (საკდესი). დღეს ლონდონში მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა. ქვეკომიტეტის მუშაობაში მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი — ჰაროლდ სტასენი, ინგლისის წარმომადგენელი — საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ანტონი ნატინგი, საფრანგეთის წარმომადგენელი — ჟიულ მოკი და კანადის წარმომადგენელი — კანადას უმაღლესი კომისარი ინგლისში ნორმან რობერტსონი.

ქვეკომიტეტის სხდომის გახსნისას ინგლისის წარმომადგენელმა ნატინგმა განაცხადა, რომ ქვეკომიტეტის მუშაობა დახურული წესით იწარმოებს. მან თავის სიტყვაში თქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განიარაღების პრობლემის გადაჭრას სხვა გადაუჭრელ საერთაშორისო პრობლემათა მოწესრიგებისათვის. დასასრულ ნატინგმა იმედი გამოთქვა, რომ ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენლები ქვეკომიტეტში ეცდებიან მიაღწიონ განიარაღების პრობლემის შეთანხმებულ გადაჭრას.

ფინეთში საყოველთაო გაფიცვის გამო

ჰელსინკი, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ მთელ დღეს და თითქმის მთელ ღამეს მთავრობის, ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანებისა და მეწარმეთა ცენტრალური კავშირის წარმომადგენლებს შორის წარმოებდა მოლაპარაკება საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

დილით გამოქვეყნდა ცნობა, რომ შრომის ბაზრის (მეწარმეთა კავშირი და ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანება) ცენტრალურმა ორგანიზაციებმა მიიღეს მთავრობის საშუამავლო წინადადება. ამ წინადადების თანახმად, საყოველთაო გაფიცვა უნდა დამთავრდეს 20 მარტს დილის 6 საათზე. მაგრამ ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანება ამასთან ითვალისწინებს, რომ გაფიცვის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 19 მარტს საღამოს 6 საათისათვის მიღწეულ იქნება შეთანხმება, რომ საშუამავლო წინადადება, რომელიც ეხება ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალურ გაერთიანებასა და მეწარმეთა ცენტრალურ კავშირს შორის ხელფასის საკითხებზე უთანხმოების მოწესრიგებას, გავრცელდება შრომის ყველა დარგზე და არა მარტო მეწარმეთა ცენტრალური კავშირისადმი დაქვემდებარებულ დარგებზე.

ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანების ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა თავის მხრივ გამოაქვეყნა ცნობა, რომ უქმდება გაფიცვის გაფართოების ღონისძიებანი, რაც დანიშნული იყო 19 მარტის დილისათვის.

ჰელსინკი, 19 მარტი. (საკდესი). როგორც იუწყებიან, დღეს საღამოს ფინეთის პროფკავშირთა ცენტრალურ გაერთიანებასა და მეწარმეთა ცენტრალურ კავშირს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომ 20 მარტიდან შეწყდეს საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მიმდინარე წლის 1 მარტს დაიწყო ფინეთში.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 19 მარტი. (საკდესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს გაუგზავნა სპეციალური წერილი, რომელშიც იგი ითხოვს მომავალი საბიუჯეტო წლისათვის (რომელიც 1 ივლისს იწყება) 4.960 მილიონი დოლარი გადაიდოს ამერიკის შეერთებული შტატების ოპერაციების საწარმოებლად საზღვარგარეთ (ეგრეთწოდებული „დახმარების პროგრამა“). ამ თანხიდან 2.950 მილიონი დოლარი გამოითხოვილია ამერიკის შეერთებულ შტატების მოკავშირეთა და პარტნიორთა შესაიარაღებლად („სამხედრო დახმარება“), მათ შორის 1.640 მილიონი დოლარი აზიის, შუა აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებისათვის.

დაღესი იაპონიიდან გაემგზავრა

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა დაამთავრა თავისი მოგზაურობა აზიის ქვეყნებში და დღეს ტოკიოდან ვაშინგტონში გაფრინდა.

ტოკიოში დალესი ეთათბირა პრემიერ-მინისტრ ხატოიამას, საგარეო საქმეთა მინისტრ სიგემიცუს და იაპონიის მთელ რიგ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღო აზიის ქვეყნებში ამერიკის დიპლომატთა დახურულ თათბირში, რომელზეც მოხსენება გააკეთა აზიის ქვეყნებში თავისი მოგზაურობის შედეგების შესახებ.

დაღესის ვიზიტის გამო იაპონიაში

პეკინი, 19 მარტი. (საკდესი). 18-19 მარტს ტოკიოში იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი, რომელიც მანამდე ამოგზაურა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. იაპონიაში ყოფნის დროს დალესი შეხვდა პრემიერ-მინისტრ ხატოიამას, საგარეო საქმეთა მინისტრ სიგემიცუს, აგრეთვე იაპონიის სხვა მინისტრებს.

დალესის ჩასვლის მომენტში მის სახელზე ამერიკის საელჩოს გაეგზავნა იაპონიის საერთო-ეროვნული ორგანიზაციების მრავალი პეტიცია. მაგალითად, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის მებრძოლმა ეროვნულმა საბჭომ მოითხოვა, რომ არ მოხდეს ამერიკის წყალბადის იარაღის გამოცდა, რაც დანიშნულია მიმდინარე წლის აპრილისათვის წყნარ ოკეანეში. იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭო, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი ასოციაცია და სხვა ორგანიზაციები თავიანთ პეტიციებში მოითხოვდნენ გაუქმდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის შეზღუდვები, აგრეთვე ლიკვიდირებულ იქნას ამერიკის სამხედრო ბაზები. ამ დღეებში ამერიკის საელჩოს შენობასთან უკრიბებოდნენ დემონსტრანტთა ჯგუფები, რომლებიც ანალოგიურ მოთხოვნებს აყენებდნენ.

როგორც იაპონიის რადიო იუწყება, იაპონიის ხელმძღვანელ მოღვაწეებსა და დალესს შორის მოლაპარაკების მსვლელობაში შეეხნენ ჩინეთთან ვაჭრობის შეზღუდვათა შენელების საკითხს. მაგრამ დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ამ საკითხში უცვლელი რჩება და რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან მხოლოდ წინაღმდეგობა არ გაუწიონ ჩინეთთან ვაჭრობას „ზუსტად გარკვეულ ფარგლებში“. დალესმა აგრეთვე თავი შეიკავა რაიმე დაპირებისაგან წყნარ ოკეანეში თერმოატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე.

19 მარტს დალესი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება პორტუგალურ ენაზე გამოიცა

მონტევიდეო, 19 მარტი. (საკდესი). ბრაზილიის გაზეთმა „ვოზ ოპერარიამ“ პორტუგალური ენაზე სპეციალური დამატებად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე გააკეთა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია კარაჩში ჩავიდა

კარაჩი, 20 მარტი. (საკდესი). გუშინ პაკისტანის მთავრობის მოწვევით კარაჩში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილის ო�ზეფ ვალოს მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ზეიმში პაკისტანის რესპუბლიკად გამოცხადების გამო.

ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას ბულგარეთსა და ეგვიპტეს შორის

სოფია, 19 მარტი. (საკდესი). კაიროში წარმატებით დამთავრდა სავაჭრო მოლაპარაკება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და ეგვიპტეს შორის. საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად ბულგარეთი ერთი წლის განმავლობაში ეგვიპტიდან გაიტანს ბამბას, ციტრუსებსა და სხვა საქონელს. ეგვიპტე ბულგარეთიდან მიიღებს თამბაქოს, მანქანებს, ელექტრომოწყობილობასა და ელექტრომასალებს, ფაიფურისა და ქაშანურის ნაწარმს და სხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

ლიბანის ახალი მთავრობა

ბეირუთი, 20 მარტი. (საკდესი). 19 მარტს ამდალაჰ იაფიმ შეადგინა ლიბანის ახალი მთავრობა, რითაც დამთავრდა მთავრობის ხუთი დღის კრიზისი, რომელიც გამოიწვია რაშიდ კარამის კაბინეტის გადადგომამ.

ახალ მთავრობაში პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ამდალაჰ იაფი, საგარეო საქმეთა მინისტრი და იუსტიციის მინისტრი — სელიმ ლაჰუდი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი — მაჯიდ არსლანი.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი კარაჩში

პარიზი, 19 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კარაჩიდან იუწყება, გუშინ შვიდი დღის ოფიციალური ვიზიტით იქ ჩავიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი. მას ახლავს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ფუად კეპრიულიუ.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის რაოდენობა

ნიუ-იორკი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიუროს გამოაცხადა, რომ 1956 წლის 1 თებერვლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა 166.966 ათას კაცს შეადგენდა.

წყალდიდობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 18 მარტი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიმართვა ხალხისადმი მოწოდებით ყოველი ღონისძიებით გაუწიოს დახმარება მოსახლეობას, რომელიც წყალდიდობით დაზარალდა დუნაის ველზე.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია მოსკოვში

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია 18 მარტს ეროვნული კრების თავმჯდომარის ზდენეკ ფირლინგერის მეთაურობით კვლავ ეცნობოდა მოსკოვს.

ეროვნული კრების დეპუტატები გეგმაზომიერნენ ნოვო-პეტროვსკის ეუჩრების რაიონში, სადაც მიმდინარეობს კარკასულ-პანელის სახლების მშენებლობა. მოსკოვის საბჭოს ტექნიკური სამმართველოს უფროსმა ნ. პ. პლოტნიკოვმა და მშენებლობის უფროსმა ს. ს. ვიშნეპოლსკიმ უამბეს სტუმრებს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების შესახებ. მათ დათვალიერეს მშენებლობის პროცესში მყოფი სახლები და უკვე მზა ბინები.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენი. ნიწისქვეშა რკინიგზის უფროსს ა. ი. ეფიმოვთან და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. ს. ტიხომიროვთან ერთად დელეგაციის წევრებმა ამგზავრეს ახალ არბატის რადიუსით და მეტროს რგოლური ტრასით, დათვალიერეს მთელი რიგი სადგურები.

დელეგაციის წევრებთან ერთად მოსკოვს ეცნობოდა ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს მთავარი რედაქტორი ა. ვრადეიკი.

საღამოს სტუმრებმა სსრ კავშირის დიდ თეატრში ნატალია სალეტინა — „ლონკიხოტი“, ვიქტორ ტოკარევი — „ფეიგალი“ — ბალეტი ... ოპერა-ბალეტის თეატრის დირექტორი მ. ი. ჩულაკი. მაყურებლები მხურვალე ტაშით შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის ხალხის წარმომადგენლებს.

დელეგაციის წევრებთან ერთად ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ვ. კაფტანოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. გ. ზაცე